ცალკე ნომერი 5 კაპ.

# ცის ნამი

გაზეთ „ცის ნამი“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ დღე. განცხადების ფასი ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ცის ნამი“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5 დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Николаевская площадь, № 1.

სამშაბათი 1907 წ. 11 დეკემბერი

№ 5. ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 5.



**1907 წ. 6 დეკემბრიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი,**

## „ც ი ს ნ ა მ ი“

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის გამოსვლის დღიდანვე.

გაზეთი წლიურათ თფილისში ღირს 7 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით 75 კაპ.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი და უსათუოთ ერთ გვერდზე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისათვის საჭიროა საფოსტო მარკები.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპეიკი.

რედაქცია დროებით მოთავსებულია: ნიკოლოზის მოედანზე, ვართანოვის სახლში, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Цисъ нами“.

გაზეთ „ცის ნამი“-ს რედაქცია და კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების ისე ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ ფული და ყოველივე ცნობები უნდა იქნეს გამოგზავნილი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, редакція „Цисъ нами“, Николаевская площадь, домъ Вартанова № 1, **Захарію Степановичу Бичашвили**.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ნ ა ფ ე ხ უ რ ი“

**გამოდის თფილისში 1907 წლის 28 ოქტომბ’იდან.**

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით 90 კაპეიკი,

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. ყოველგვარ ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილით 11-დან 12 საათამდე.

**რედაქციის ადრესი:** Тифлисъ, Великокняжеская, № 35,

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

## „ი ს ა რ ი“

გაზეთი „ისარი“ ერთის წლით ღირს თფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით თფილისში—75 კაპ თფილისს გარეთ—85 კ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს ხუთ საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „ისრის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

**კვირას, 16 დეკემბერს**

ზუბალაშვილის სახალხო სახლში, ბავშვების იაფ-ფასიან და უზრუნველყოფილ აღზრდა-განათლების კავკასიის საზრუნველოს სასარგებლოთ

გამართული იქნება:

გრანდიოზული **სეირნობა**

ლატარია-ალეგრით

სამოგზაო დიდი ფერხული

„ყინულის პაპა“ ანგელოზები, მატროსები, პეიზანები, „პეიზან ქები“, „კლოუნები“, ალ-ჯაჯები, კუდიანი და სხვა-და-სხვა მკითხავის ფეშქაშები,

ხორო მომღერალთა:

ბალალაიკების,

მუსიკის,

მანდალინებისა,

„კატოკი“,

გრამოფონი.

გაიყიდება კონფეტები, ყვავილები, ხილი.

**ფოსტა და ბუფეტი.**

**ბოზარჯიანცის, საკიანცის და გრიგორიანცის გაფიცულ მუშებს თფილისში დაუარსებიათ ფეხსაცმელის**

## სამკერვალო ამხანაგობა

და მაღაზია გაუხსნიათ. ამით აუწყებენ მხმარებლებს, რომ ყოველნაირი შეკვეთა და დამზადებული საქონელი სუფთა და ხელ მისაწდომ ფასებში იქნება. ადრესი: ნეკრასოვის და ნიკოლაევის ქუჩის კუთხეში, № 11.

**ე ქ ი მ ი**

გ. ს. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

ილებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)


თბილისი 11 დეკემბერი.

მთელი რუსეთის ცხოვრება და მისი სხვადასხვა დარგი დღეს ხანგრძლივს და ქრონიკულ საერთო კრიზისს განიცდის ძველი წესები შეუბრალებლათ ირღვევა, მისი დახავსებული მუხრუჭები ახალის ცხოვრების ზედ მიწოლით შეუჩერებლივ ინგრევა. მთავრობა კი მთელი თავის ბიუროკრატიულ მანქანით ამას წინ ეღობება და თავისებური რეპრესიებით ცდილობს განმათავისუფლებელ მოძრაობის ძირიან-ფესვიანათ ამოთხვრას და ამნაირად ისტორიის ჩარხის უკან გადატრიალებას.

მთავრობის ასეთი რეაქციონური პოლიტიკა ხალხის ცხოვრებაში ბადებს აწეწ-დაწეწვას, საერთო ანარქიას, რაც ყველანაირად აფერხებს ცხოვრების ნორმალურ მსვლელობას, მის ბუნებრივ განვითარებას. ძველის და ახალის შეჯახ-შემოჯახების, მათის აგორებული ტალღების ერთი მეორე'ს შეხეთქ-შემოხეთქების შედეგია, სხვათა შორის, მთელ რუსეთში მოდებული შიმშილობა, რომელიც თანდათან ვრცელდება და საშიშ ხასიათს ღებულობს რუსეთის ყველა კუთხიდგან მოისმის დამშეულების კვნესა-ტირილი, რომლებიც ჩამომხმარ-ჩამოყვითლებული სახით და გამხდარის ხელებით მოითხოვენ დაუყოვნებლივ დახმარებას.

ეკონომიური კრიზისი, ვაჭრობა-მრეწველობის შეფერხება, იწვევს ქარხანა-ფაბრიკების და სავაჭროების დაკეტვას, რაც დამშეულ უმუშევართა ისედაც დიდ ლაშქარს უფრო ზრდის, შიმშილობა ქალაქებში უფრო და უფრო მატულობს, რაც ნორმალური ცხოვრების ფესვებს შეუჩერებლად ღრღნის და ნიადაგს უმზადებს ათასგვარ ავაზაკობას. უფრო საზარელ სურათს წარმოადგენს სოფელი, მთელი რუსეთის გლეხობა, რომელსაც ამ ზამთრის საზრდო გამოელია. რუსეთში ზოგან ახლავე ქატოთი იკვებებიან; ზოგან ისიც აღარ გააჩნიათ. დამშეული გლეხები თავის ცხოვრების წყაროს, მუშა-საქონელს ჩალის ფასად ყიდიან, რომ ცოლ-შვილთან ერთად დროებით მაინც არის სული მოიბრუნონ, სიკვდილს თავი დააღწიონ. ასეთივე ამბები ხდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში და კავკასიის აღმოსავლეთ გუბერნიებში.

ვინ არის ამის მიზეზი? ვინ მოიყვანა ხალხი შიმშილის კარამდე? ვინ მიაქანებს მას ამ მოლიპულ დაღმართზე და ხრამში გადაჩეხას უქადის? ბიუროკრატიის უზარმაზარმა მანქანამ—მთელი საუკუნოებით დამონებულ და ხელ-ფეხ შებორკილ ქალაქის და სოფლის მშრომელ ხალხს თავის გამბულ-გამომბული ქსელით, მოლად ამოსწოვა სასიცოცხლო ძალები და გნიასი გამოულია.

რეაქციის მთელი რისხვაც სწორედ ამ გაძვალ-ტყავებულ ხალხის თავზე დატრიალდა და ისედაც გამოფიტულს სულ მთლად განადგურებას უქადის. ის მთელი თავისი რეპრესიებით აუარებელი გადასახადებით ეგზეკუციებით და სხვა უფრო აძლიერებს და აფართოვებს ხალხის ჭრილობს, ცეცხლზე ნავთს ასხამს და სჭრის იმ ტოტს, რომელზედაც თვითონა ზის. ბიუროკრატია თავის პოლიტიკით, ათასობით არღვევს და აგლახავებს ქალაქის და სოფლის მუშა ხალხს, იმ ხალხს, რომელიც სახელმწიფოს დედა-ბოძს შეადგენს, რომლის მხრებზედაც დაყრდნობილია დღევანდელი ცხოვრების უზარმაზარი შენობა მთელი მთელი თავის სიმძიმით.

რა უშველის ხალხს? ვინ გამოიყვანს მას ასეთ მდგომარეობიდან, ასეთ ტუპიკიდგან? რას შეუძლიან მისი ჭრილობის დაშოშმინება, მისი მორჩენა?

სათათბიროსაგან გადადებული 7 მილიონი, ეს წვეთია ზღვაში, რომელიც შეძლებელია და მოსალოდნელიც,—ახალი გურკოს და მისთანების წყალობით, დამშეულების მაგივრად, მაძღრების ჯიბეში ჩაგორდეს.

ეს ვერ უშველის საქმეს, ვერ დაიხსნის მას შიმშილობისაგან. ამისათვის საჭიროა უფრო რადიკალური ზომები.

შიმშილობის მიზეზები, როგორც მკითხველი ხედავს, მთელ ბიუროკრატიულ რეჟიმის პირობებში, მის მოწყობილობაში არის დამარხული და აქედან მომდინარეობს. და თუ გვინდა შიმშილობის მოსპობა, უნდა მოვსპოთ მისი გამომწვევი მიზეზები...

შიმშილობის შემაძრწუნებელი და მის გულ-შემზარავ სურათებით აღშფოთებული, ზოგიერთი გულუბრყვილოები კი წამალს სხვაგან ეძებენ, საზოგადოებას ებღაუჭებიან და, როდესაც მის გულგრილობას ხედავენ, სასოწარკვეთილებას ეძლევიან.

საზოგადოება, როგორც ვიცით, რთულია, ის კლასებათ არის დანაწილებული და არ ვიცით, მის რომელ კლას ემუდარებიან ეს გულუბრყვილოები, არ ვიცი ვისგან მოელიან ხსნას?.

მსხვილი ბურჟუაზიისაგან, კაპიტალისტისაგან, დიდი ბობოლებისაგან? ესენი ხომ, ამ კრიზისის დროს, უფრო დიდ ექსპლოატაციას ეწევიან და ქუჩაში შეუბრალებლად ერეკებიან მუშებს. წვრილ ბურჟუაზიისაგან, ჩინოვნიკებისაგან? ესენი, ხომ დღევანდელ ციებ-ცხელების დროს, დღევანდელ ქესატობის ხანაში გამწარებულები ებღაუჭებიან თავის ცხოვრების წყაროს და მშიერების და დამშეულების უნუგეშო მდგომარეობას გულ-გრილად უცქერიან.

ჩვენის აზრით; საჭიროა ქალაქის და სოფლის მშრომელმა ხალხმა დააღწიოს თავი ასეთ მდგომარეობას, მისი გამომწვევი მიზეზების მოსპობით. ამისათვის მას სჭირია ამ საქმეში თაოსნობა, ინიციატორობა და თვით-მოქმედება, რაც მას გაიყვანს იმ ერთად-ერთ გზაზე, საიდანაც შესაძლებელია მისი ხსნა...

---

### ლიკვიდაციაა თუ არა?

დღევანდელი რეაქციონური ხანა, სხვათა შორის, ღირს-შესანიშნავია მით, რომ მთელ რუსეთში სწარმოებს დაუსრულებელი სამოსამართლო პროცესები; სამოქალაქო სასამართლოებთან ერთად გამალებული „მუშაობენ“ სამხედრო სასამართლოები; ყოველ კუთხიდგან გესმით ჩამოხრჩობა, კატორღა, გადასახლება.

გამარჯვებული რეაქცია აჩქარე-

ბულის ტემპით ამოძრავებს მთელ თავის ბიუროკრატიულ მექანიზმს და თავისებურათ „ასამართლებს“ დამარცხებულ ხალხს, ასამართლებს განმათავისუფლებელ მოძრაობას. ასეთ გასამართლებაში მხოლოდ გამარჯვებულის შურის-ძიება ჰხატება დამარცხებულისადმი. ამას, სხვათა-შორის, ნათლად ამტკიცებს მეორე სათათბიროს სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის გასამართლეიაც.

ბევრს მთელი ეს დაუსრულებელი პროცესი, მთავრობასთან ერთად, განმათავისუფლებელ მოძრაობის ლიკვიდაცია, მისი მოსპობა ჰგონია და ამის გამო გულ-გატეხილი, პესიმისტიურათ, უცქერის საქმის ვითარებას და სრულ უიმედობას ეძლევა. ამათის აზრით, ხალხი საბოლოოდ დამარცხდა, მისი განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩაქრა; ბიუროკრატიულმა მთავრობამ კი გაიმარჯვა ერთხელ და სამუდამოდ.

ასეთი შეხედულება საქმის ვითარებაზე, მათი ასეთი დასკვნა გამომდინარეობს განმათავისუფლებელი მოძრაობის მათი ზერელე დაკვირვებისგან: ისინი ღრმათ ვერ იცქირებიან ცხოვრების გულში; მათ ჯეროვანათ ვერ გაუთვალისწინებიათ განმათავისუფლებელ მოძრაობის გამომწვევი ძირითადი მიზეზები და ამიტომაც ბრძოლა გათავებული გონიათ; ბიუროკრატიის შურის ძიების გამოხატულობა, მისი პროცეები კი განმათავისუფლებელ მოძრაობის ლიკვიდაციათ და ასეთ შეხედულებაზევეა დაყრდნობილი მათი უიმედობა, მათი პესსიმიზმი.

სულ სხვას გვეუბნება საქმის ნამდვილი ვითარება, სულ სხვას გვასწავლის სინამდვილე.

განმათავისუფლებელი მოძრაობა გამოწვეულია ცხოვრების ობიექტიური, ჩვენგან დამოუკიდებელი, მიზეზებით; ცხოვრების ასეთმა პირობებმა ააზობოქრეს, ზღვასავით აალელვეს ხალხი და ის, ძალა უნებურათ, შეახეთქეს ძველ რეჟიმს. ცხოვრების ეს ობიექტიური პირობები, რომლებიც ხალხის ეკონომიურ-პოლიტ. ცხოვრებამ წამოაყენეს, აუცილებლად მოითხოვენ ახალ, თავის შესაფერ სოციალურ-პოლიტიკურ წესწყობილებას. ამისათვის კი აუცილებლათ საჭიროა ძველის დანგრევა და მის ნანგრევზე, ახალი ეკონომიურ ვითარების მიხედვით, ახალ ცხოვრების დამყარება

ეს ობიექტიური პირობებია თავდებია განმათავისუფლებელი მ-ძრაობის გამარჯვებით დაგვირგვინებისა. ამ პირობებშია დამარხული გამარჯვების აუცილებლობა. განმათავისუფლებელ მოძრაობის აუცილებლად თავის ლოღიკურ დასკვნამდე მისვლა.

აქედან ნათლათ სჩანს, უსაფუძვლობა პირველ შეხედულებისა, რომელსაც ბიუროკრატიის დროებითი გამარჯვება, დღევანდელი პროცესსები განმათავისუფლებელ მოძრაობის საბოლოვო ლიკვიდაცია და მის მოსპობათ მიაჩნია.

ვინც გულ-დასმით თვალ-ყურს ადევნებდა და ღრმად აკვირდებოდა განმათავისუფლებელ მოძრაობის მიმდინარეობას, მის ტალღების აწევ-დაწევას და რყევას, ის შეამჩნევს, რომ რამდენადაც ძლიერდება და ღრმად ფესვებს იდგამს ეს მოძრაობა, იმდენად შმაგდება, იმდენად სასტიკ რეპრესიებს ხმარობს ბიუროკრატია. ყველასათვის აშკარად ხდება, რომ ახალ ცხოვრებას არსებითად ვერ უთანხმდება, ვერ ეგუება ბიუროკრატია და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უფრო და უფრო მწვავდება, უფრო საშინელსა ‍და საზარელ ხასიათს ღებულობს. ბრძოლის პროცესსის ამ ორ მოსისხლე მტრების ბანაკს ცალ-ცალკე რაზმავს და ერთი მეორეს უფრო თავ-განწირვით ახეთქებს. ყველა ეს შეხეთ-შემოხეთქება, რეაქცია-რევოლიუციის გამწვავება თანდითან ამზადებს ბრძოლის უმთავრეს აქტს.

დღევანდელი რეაქცია, მთელი თავის საშინელებით, რეპრესიებით და ასეთივე პროცესიებით, ლიკვიდაციას კი არა უშვრება მოძრაობას, არამედ უფრო აფართოვებს და აღრმავებს მას.

რეაქცია სწვრთნის და ამზადებს ხალხს, რომელიც ასეთის მიუტევეველის და უსამიანო ზომებით ხალხს ბიუროკრატიის შეურიგებელ მტრადა ხდის და აჩქარებს მის გამოსვლას...

---

## „ს. ქ. გ. საზ“. წლიური კრება.

კვირას, 9 დეკემბერს, შესდგა წლიური კრება „საზოგადოებისა“. დამსწრეთა უმრავლესობას არა წევრნი შეადგენდნენ. საზოგადოებამ, თავმჯდომარის-ცხვედაძეს- წინადადებით ფეხზე წამოდგომით პატივი სცა განსვენებულ ილ. ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ეპისკოპოსის ხსოვნას. შემდეგ წაკითხულ იქნა 1906 წლის ანგარიში, რომელსაც ხანგრძლივი და ცხარე კამათი მოჰყვა. საკამათო საგანთა შორის საყურადღებო იყო: ა) ეპატიოს თუ არა თონეთის საზოგადოებას, მასზე დარჩენილი 900 მანეთი ვალი? ალ. ყიფშიძის შეკითხვაზე: არ შეუძლიანთ, თუ არ სურთ გარდახდაო? ბ-ნმა რატიშვილმა განმარტა, რომ, როგორც თვითონ ბ-ნ ალ. ყიფშიძესაც უნდა მოეხსენებოდეს ყველაზე უკეთ, თონეთელები ისე გაჭირებულნი არიან, რომ სასოფლო მიწის სყიდვაც ვერ მოუხერხებიათო.

ბ-ნმა ცხვედაძემ განმარტა, რომ თონეთელები არც ისე ღარიბები არიან, რომ ვერ შესძლონ ვალის გადახდა; მაგრამ ზარმაცები არიან და სკოლის ხარჯის თავიდან მოშორებს ყველა ნაირათ ცდილობენ, მთავრობასაც კი მიჰმართეს-ეს ხარჯი აგვაცილეთო. მთავრობამ კი ეს თხოვნა „საზოგადოებას“ გადმოსცა. გამგეობა, ეს ათი წელიწადია, დრო-და-დრო აპატიებს ხოლმე თონეთელებს მათს სკოლაზე დახარჯულ ხარჯსაო. კრებამ დაადასტურა—ეპატიოს თონეთელებს მათზე დარჩენილი 900 მანათი. ბ). კამათი გამოიწვია კავკავის სკოლაზე ზედ-მეტათ დახარჯულმა 538 მან. ამის შესახებ გამგეობის მდივანმა განმარტა; თუმცა კავკავის სკოლა თავის ხარჯებს ადგილობრივ შემოსავლიდანაც ასდის, მაგრამ გამგეობამ ეს დახმარება მისთვის გაუწია, რომ კავკავის სკოლასთან მჭიდრო კავშირი არ გასწყვიტოს „საზოგადოებამაო“.

საინტერესოა ასეთი განმარტება. თუ კი კავშირის გაწყვეტა არა სურდა გამგეობას კავკავის სკოლასთან, სხვა სკოლებმა რაღა დააშავა, რომ საარსებო დახმარებაც კი მოუსპეს და დაკეტეს. ეს ზედ-მეტი დახმარება ორ სკოლას ხომ გასწვდებოდა?!

გ). იყო შენიშვნები გამგეობის მიმართ აგრეთვე იმის შესახებ, რომ გამგეობა შესაფერ წიგნებს არა ჰბეჭდავს. თავმჯდომარის განმარტებით, საანგარიშო წელს არავითარი წიგნი არ გამოუციათ. თანამედროვე წმგნებს მისთვის არა ვბეჭდავთ, რომ ამისთანა წიგნებს სხვაც ბევრი ჰყავს გამომცემელიო. უკეთესი განმარტება, ვეჭვობ, შეუძლებელია!

ერთმა წევრმა საფუძვლიანი შენიშვნა მისცა გამგეობას, მის მიერ გამოცემულ კალენდრის ზარალის გამო და გამგეობის უთაურობა აღნიშნა.

თავმჯდომარე ნეტარის ღიმილით დასთანხმდა: მართალია, გამგეობა თვითონაცა გრძნობს თავის სისუსტესაო.

საუცხოოა, საუცხოოო!

ბოლოს კრებამ დაამტკიცა საანგარიშო წლის 1906 წ. ანგარიში. უფრო ცხარე კამათი მომავალ 1908 წლის ხარჯთ-აღრიცხვამ გამოიწვია. თავმჯდომარემ ათას ხრიკს მიმართა, რომ მუხლი-მუხლათ არ განეხილა კრებას ეს ხარჯთ-აღრიცხვა. კრებამ თავისი გაიტანა. გ. რცხილაძის საფუძვლიანის განცხადებით, გამგეობა მოვალე იყო 1907 წლის ანგარიშიც წარმოედგინა კრებისთვის, რომ კრებას გაეცნო ამ წლ მედება, შემოსავალ-გასა ამის-და მიხედვით გაეთ ბინა მომავალ წლის ხა რიცხვა.

პასუხად მიიღო, რომ ჯე წადი არ დასრულებულა მართლაც უკეთესი იქნებ ური კრება დეკემბრის გა ვის დაენიშნათ. მაშინ შე ლი იქნებოდა ამ წლის ა განხილვაც. ბოლოს კრება ხმა გამგეობის აზრს, რო წლის ანგარიში, მომავალ წ სის საზოგადო კრებამ განი

დიდი კამათი გამოიწვია წლის ხარჯთა შორის შე 300 მანეთმა, რომელიც, გ განცხადებით, ძველ ხელნ შეძენას უნდა მოხმარდეს.

ამ მუხლის განხილვის მოკამათეთა ლაპარაკიდან ირკვა, რომ გამგეობა ღი გადასცდენია თავის პირდა ნიშნულებას — სწავლა - განა გავრცელებას ხალხში—და თუმცა სასარგებლო, სიქმე ლაუქებია. ასეთი მოქმედება დაქსაქსავდა „საზოგადოების ღონეს და ენრგიას. პრინციპ დადგა საკითხი, რომ „საზოგ დაადგეს მხოლოდ თავის პი დანიშნულებას; ხოლო უ სებული ბიბლიოთეკა — მ „საზოგადოებისა“ განცალკევე სებით და ცალკე საზოგ გარდაეცეს. თქმა არ უნდა, გაბედული ნაბიჯი სასურველ სასარგებლო იქნება, როგორ ზოგადოების“ ნაყოფიერ მო ბისათვის, ისე მუზეუმ-ბიბლი უზრუნველყოფისათვის. რა ერთ გზაზე დარუებული—დ დღევანდელივით დაქსაქსული გია და მეცადინეობა, გაანაყ რებს და მკვიდრ ნიადაგზე ნებს ერთსაცა და მეორესა განცხადება შეტანილ იქმნა და მომავალ საზოგადო კრებას წ. მაისში მოჰხსენდება გამ

## ფელეტონი

**მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი**

(ისტორიული მოთხრობა)

გაგრძელება *)

### III

მამა-კაცებთან ერთად თითო-ოროლა განათლებული ახალგაზდა ქალებიც გამოვიდნენ ფარულ წრეებში სამუშაოთ მათ შორის მუშაობდა ერთი ქალი, ნინა, რომლის სილამაზემაც ვანო და სიყვარულის ბადეში გააბა.

სიყვარულზე ქალმაც სიყვარულით უპასუხა.

ახალგაზდურმა მჩქეფარე ბუნებამ და დიდებული მიზნისათვის საერთო მუშაობამ ვანო და ნინა სულით და გულით შეართა და ცოლ-ქმრათ შეაუღლა. ისინი, როგორც ბუნებრივად, ისე გონებრივადაც ერთიმეორის დამატებას წარმოადგენდენ. ნეტარებით სავსე იყო ახალ-გაზდა ცოლ-ქმარის ცხოვრების პირველი ნაბიჯები. მათ პირად ბედნიერებას საკაცობრიო ბედნიერებისათვის ათაას დაბრკოლებებით სავსე მოქმედება წარმოადგენდა.

ამნაირად, ვანოსთან ერთად „მესამე დასელმა“ ამხანაგების ჯგუფმა მკვიდრი საძირკველი ჩაუყარეა და ააშენა კავკასიის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია, რომელიც კაპიტალიზმის თანდათანის განვითარების და მისგან გამოწვეული ცხოვრების ახალი მიდრეკილება- მიმდინარეობის მეოხებით უფრო და უფრო იზრდებოდა და ფართოვდებოდა.

კაპიტალიზმისაგან გამოწვეულმა ბურჟუაზიულ ცხოვრების განვითარებამ და არსებულ წესწყობილების გადაჭარბებულმა სისასტიკემ ხელი შეუწყო მთელ რუსეთში მუშების მოძრაობის გაღვიძებას. რუსეთის ყველა დიდ სამრეწველო ქალაქებში და მათ შორის თბილისშიც ბრძოლის ველზე მხოლოდ შეგნებული პროლეტარიატი გამოვიდა გაბედულათ.

გათენდა თბილისის და საზოგადოთ მთელი კავკასიის პროლეტარიატისათვის დაუვიწყარი, დიდებული 1901 წლის 22 აპრილი. მუშა-ხალხმა დილიდანვე თბილისის სხვადასხვა კუთხიდან იწყო დენა დანიშნულ ადგილისაკენ. თორმეტ საათამდის დიდი ნაწილი მუშებისა შეგროვდა თბილისის შუა გულ ადგილას, ეგრედ წოდებულ იარმუკაში. ყველა ერთის მისწრაფებით იყო გამსჭვალული და გულიც ერთნაირათ უცემდა. მშვიდობიანობის დამცველმა პოლიციამაც იგრძნო მისთვის არა სასიამოვნო რაღაც ამბავი და წინადვე თადარიგს შეუდგა. ორი მოპირდაპირე ბანაკი-გაყვლეფილი, უუფლებო პროლეტარიატი. და პოლიცია.პირისპირ შესაყრელათ ემზადებოდა და ორივე ირაზმებოდა.

დაჰკრა დანიშნულმა საათმა და წითელი დროშა ჰაერში გაბედულათ აფრიალდა. აღტაცებულმა ხალხმა დროშას მიაშურა და მას გარშემო მჭიდროდ შეჯგუფდა; რამოდენიმე წუთიის თავისუფლად ფრიალებდა.

მაგრამ აგერ უცბად გაჩნდა დარაზმული პოლიცია, თქაფა-თქუფით მოფრინდენ ცხენოსანი კაზაკები და თვალის დახამხამებაზე ხალხს მათრახებით დაერივნენ. დემონსტრანტები ოდნავაც არ შეშინდნენ, არ შედრკნენ და ისინიც თავ-განწირულათ ეკვეთნენ. გაჩაღდა ხელ-ჩართული ბრძოლა, რომელმაც რამოდენიმე წუთს გასტანა. კაზაკები უწყალოთ და დაუნდობლათ იცემებოდენ, მაგრამ გაკაჟებული დემონსტრატებიც მოკლე კეტებით პასუხს აძლევდნენ. ხალხის ძლიერი ტალღა ტალღას მისდევდა და მოპირდაპირეს მედგრად ეხეთქებოდა. ამ დროს ვანო დემონსტრანტების წინა რაზმებში დროშას იცავდა.

ბოლოს გაწვრთნილმა სამხედრო ძალამ სძლია. პოლიცია-კაზაკებმა ხალხი დაანაწილეს და გაფანტ-გამოფანტეს. დაცარიელებულ ბრძოლის ველზე, რომელიც მოფენილი იყო სხვადასხა ჯურის ქუდებით და ნივთებით, აქა-იქ სისხლიც მოჩანდა.

დემონსტრანტები თუმცა ფიზიკურად დამარცხდნენ, მაგრამ სამაგიეროთ ზნეობრივად გამარჯვებულები გამოვიდნენ ბრძოლის ველიდან. მათ ამ დღეს საჯაროთ დაამტკიცეს თავისი მომწიფება და ამ დღიდან პოლიტიკურ სარბიელზე აშკარად და გაბედულათ გამოვიდნენ.

სხვებთან ერთად ძალზე ნაცემი ვანოც დაიჭირეს და მეტეხის ციხეში ჩაამწყვდივეს. აქ ის მთელი წელიწადი იჯდა, მაგრამ მისი საქმე მაინც არ ირჩეოდა, ცალკე გამომწყვდეული, ოთხ კედელ შუა, პატარა კამერაში ცოცხლად დამარხული, ის მთელი წელიწადი გაყვითლებული სახით ნაღვლიანათ გადმოსცქეროდა აზობოქრებულ თბილისის ცხოვრებას და დილიდგან საღამომდის, ფიქრობდა და ოცნებობდა. როგორც ზნეობრივ, ისე ფიზიკურ ტანჯვას ვანოს მაგარი აგებულება და გამოწრთობილი ბუნება მხნედ იტანდა. ის კიდეც ამაყობდა მით, რომ თავის საყვარელ იდეალისათვის ასე სასტიკათ ისჯებოდა.

კვირაში ორჯელ, მის სანახავად, მუდამ მდიოდა ნინა, პატარა ვაჟიშვილით ხელში. განსაზღვრული ხნობით ერთმანეთს და პატარა არსებას ესაყვარულებოდენ, ტკბილათ ემუსაიფებოდენ და ერთმანეთის ცქერით და ლაპარაკით გაუმაძღარნი ერთი მეორეს გულ-დაწყვეტილნი შორდებოდნენ.

ვინო ტუსაღურ ცხოვრებას შეეჩვია. მან კედელზე კაკუნით მეზობელ ტუსაღებთან ლაპარაკი ისწავლა; ასეთი საშუალებით ისიც ჩაება ტუსაღებში გაბმულ-გამობმულ სულიერ კავშირში. წლის ბოლოს ვანომ და მისმა ამხანაგებმა, რომლების საქმის გარჩევასაც განძრახ აგვიანებდნენ, თავიანთებურ ტელე- ფონით ერთი მეორეს შეატ ნეს,—საერთო შიმშილობა გა ხადეს და საქმის გარჩევა მ ხოვეს.

შიმშილობის პირველმა ჩვეულებრივად უმნიშვნელოთ რა. ვანომ ამაყად უკანვე გა ნა შავი, ნახევრად ცომი პურ მღვრიე „ბორში“, რომელში იქ დაცურავდენ დამპალ კომ ტის ფოთლები და კაკლის ხორცის ნაჭერი; შემდეგ მან ვიწრო ოთახში მტკიცე ნაბი დაიწყო წინ და უკან სიარ მეორე დღეს მან იგრძნო შიმ მაგრამ თავი გაიმხნევა; მესამე ის შიმშილმა მოსწყვიტა, მაინც გამაგრდა, თუმცა მას შ ლით გული ელეოდა, სხ უდუნდებოდა, მაგრამ ის სული უფრო მაღლდებოდა და კაჟდებ

გათენდა მეოთხე დილა. თავ-ბრუ ეხვევა, გული მისდის ხლები ეკეცება. შუადღემაც ტანა ის რაღაც გამოურკვ ბურანში, ხედავს, რომ პური ვთ; პურის სუნზე ის იბნე რომელიც მას მაგნიტივით იზ თავისკენ, მაგრამ მოწყვეტილი ლით მაინც უარს ეუბნებოდა.

ამის შემდეგ, პატარა ხანს ილება კამერის კარები, შემოდ სამართლოს მოხელე და უცხადებს, რომ მისი საქმე დღ ნა და მალე იქნება განიხილ ვანოს ძლივს ეყურება ეს, გაგონებისათანავე გახარებულ

*) იხილე „ცის ნამი“ № 4

მოსაზრებასთან ერთად. ხოლო მანამდე კი კრებამ დაადასტურა აღნიშნულ 300 მანათის გადადება ძველ ხელნაწერების შესაძენად. საწევრო გარდასახადის შესახებ, ერთმა წევრმა გაკვრით წარმოსთქვა ის აზრი, რომ უკეთესი იქნებოდა არსებული საწევრო ფული — სამი მმნათი კიდევაც შემცირებულიყო. მაგრამ ამ აზრმა უმნიშვნელოთ ჩაიარა. თუმცა, ჩვენის აზრით, თუ კი „საზოგადოებას" სურს, მართლა მკვიდრ ნიადაგზე დადგეს და ფართე მასსაში ღრმათ გაიდგას ფესვები, სასარგებლო იქნებოდა საწევრო გარდასახადი ერთი მანეთი გაეხადნა. თუნდაც ამ სახით „საზოგადოებას" იმაზე მეტი ფული არ შემოუვიდეს, რაც მას ვარაუდით მომავალ წელს შემოუვა სამ-მანათიან წევრებისაგან, (ნაკლები რომ არ შემოუვა ერთ-მანეთიან წევრებისაგან, ცხადია) „საზოგადოების" გარშემო ერთი სამათ მეტი თანამგრძნობი მოიყრიდა თავს და ეს კი მეტ საზოგადოებრივ მნიშვნელობას მისცემდა „საზოგადოებას", უფრო დააახლოვებდა მას ხალხის კულტურულ ცენტრად გასახდომად.

კრებამ, დავმჯდომარის წინადადებით აირჩია ცხრა კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც გამგეობასთან ერთად განიხილავს საკითხს განსვენებულ ილ. ქავქავაძის ანდერძის შესახებ: ან ფურცელაძე, ალ. ყიფშიძე, შ. დედაბრიშვილი, ან დ. ღულაძე და ვ. ბერელაშვილი.

არჩეულ იქმნა აგრეთვე სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც გამგეობასთან ერთად შეიმუშავებს მუზეუმ-ბიბლიოთეკის განცალკევების საკითხს „საზოგადოებიდან": ექ. თაყაიშვილი, ალ. სარაჯიშვილი და გრ. რცხილაძე.

საყურადღებოა, რომ კრებაზე არავინ მიაქცია ყურადღება „საზოგადოების ნოქართა მდგომარეობას. უფროს ნოქარს, რომელიც თითქმის 25 წელიწადია „საზოგადოებას" ემსახურება მხოლოდ 54 მანათი ჰქონია ჯამაგირი, ხოლო მეორეს, რომელიც 10 წელიწადი ემსახურება საზოგადოებას — მხოლოდ 350 მანათი. სასურველი და სამართლიანიც იქნებოდა მათთვის მოემატებინა „საზოგადოებას" ჯამაგირები, მით უმეტეს, რომ მთელი „საზოგადოების" საქმის წარმოება, მუზეიმ-ბიბლიოთეკისა და წიგნის მაღაზიისა, და ყველა დავთრებსა მათს კისერზეა დაწოლილი.

კრება დასრულდა ნაშუადღევის 4 საათზე. კრების გაგრძელება დანიშნულია 16 დეკემბრისათვის, როდესაც მოხდება გამგეობის წევრთ არჩევა და დანარჩენ საკითხების განხილვა.

ნარკანი

## ახალი ამბავი

**ჩხრეკა და დაპატიმრება.** გუშინ, 10 დეკემბერს, თფილისის ყველა უბნებში გახშირებული ჩხრეკა და დაპატიმრება იყო როგორც გადმოგვცეს, სხვათა შორის, დაუპატიმრებიათ „წყაროს" თანამშრომლები — ემილი და პოლიო. ამათ გარდა კიდევ დაუპატიმრებიათ ერთიც „ახალი ქვეყნის" თანამშრომელი, რომლის სახელიც ჯერ ვერ გავიგეთ.

✦ ამ დღეებში „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებულ საზოგადოების" გამგეობამ ცნობილ ქველმოქმედ ძმ. ზუბალაშვილებისაგან მიიღო წერილი, რომელითაც ბ-ნნი ზუბალაშვილები ანდობენ საზოგადოების გამგეობას 4 წლის ვადით სტიპენდიანტებისათვის იმ ფულის თავის შეხედულებისამებრ განაწილებას, რომელიც ძმ. ზუბალაშვილებს გადაუდვიათ. ყოველ წლიურად ბ. ზუბალაშვილები იძლევიან 6000 მან. და სტიპენდიები უნდა დაენიშნოს 300-400 მან. იმ ახალგაზრდობას, რომელნიც მოისურვებენ რუსეთის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლის მიღებას. საზოგადოებას იმედი აქვს, რომ აღნიშნულთ 600. მან. ყოველ წლობით სპეციალურ სასწავლებლებში 25 მდე სტიპენდიანტი ეყოლება. სასიამოვნო მოვლენაა, რომ სწავლის წყურვილით გატაცებულ ღარიბ ახალგაზრდობას საშუალება ეძლევა უხვ ქველმოქმედთაგან თავის მიზანს მიაღწიონ.

✦ სიონის ქუჩაზე, ხოჯა ფარუხოვისა და მაისურაძის ქარვასლაში მოთავსებულა რონ კასპიშვილისა და გორელიშვილის მაღაზიაში, 9 დეკემბერს, დილის 11 საათზე, შევარდნილა ხუთი შეიარაღებული კაცი და მოკვლის მუქარით მოუთხოვნიათ ფული. ვაჭრებს ყვირილი და ხმაურობა აუტეხნიათ და გაჩენილან პოლიციელები, რომელთაც მცარცველებთაგან ოთხი კაცი დაუპატიმრებიათ. დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ: ნახიჩევნელი ხიჩატურ ბადალიანცი, სურამელი გერასიმ მელახოვი 16 წლისა, ტფილისის მცხოვრები ბახჩი ოღანეზოვი 17 წლისა და გუმბრელი ალა ვარდანიანცი. დაპატიმრეაულთ აღმოაჩნდათ რევოლვერები.

✦ 9 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ტემნი ქუჩაზე, ვიღაც ბოროტ განმზრახველები თავს დაეცნენ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს იასონ ჩიქოვანს, რომელსაც რამდენჯერმე რევოლვერი დაახალეს და მოჰკლეს. მოკლულს ჯიბეში აღმოაჩნდა 7 ყალბი სამ მანეთიანები. მკვლელები მიმალნენ.

✦ 8 დეკემბერს, განოვის ქუჩაზე მიდიოდა მეკურტნე ოჰანეს ბაღდასაროვი, რომელსაც სესიაშვილის ღვინის სარდაფიდან მიჰქონდა ბოთლებით სავსე ყუთი. სოლოლაკის ქუჩაზე, ოტტენის აფთიაქის პირდაპირ მეკურტნეს ოთხმა უცნობმა კაცმა გზა გადაუღობა და მოსთხოვეს-ღვინო არ წაგლო, ბაღდასაროვმა განაგრძო გზა. ერთმა უცნობთაგანმა ჩაახალა ყუთში ქვა და ღვინიანი ბოთლები მთლად მიულეწ-მოულეწა. დაპატიმრეს ერთი მათგანი, რომელიც აღმოჩნდა ტერ-არუთინოვის სარდაფში მოსამსახურე ვასილ საყევარაშვილი. დანარჩენები მიიმალნენ.

✦ 9 დეკემბერს საღამოს, 10 საათზე განოვის ქუჩაზე სახელოსნოს პატრონს გერასიმ ვართანოვს შეუვარდნენ და მოსტაცეს 520 მან. საღირალი საქონელი. ეჭვი მიიტანეს ერთ მსახურზე, მურადოვზე და მეეზოვე გრიგოროვზე. ორივენი დააპატიმრეს.

✦ 9 დეკემბერს, პოლიციაში მისულა ნ. ჰიქინაძის მსახური ისაია კოჩეგაროვი და განუცხადებია, რომ ნაშუადღევის სამ საათზე, როდესაც ის მჭედლიშვილის სარდაფში ღვინის ყიდვის შემდეგ სახლში მიემზავრებოდა, პუშკინის ქუჩაზე, თავს დაეცა 8 უცნობი კაცი, ეტლი შეაჩერეს, ღვინის ქურქლები მიუმტრმოუმტვრიეს და მიიმალნენ,

✦ ვოგზლისა და მოლაკნების ქუჩების კუთხეში: 9 დეკემბერს, 12 საათზე პოლიციას შეუნიშნავს სამი საეჭვო კაცი. როდესაც პოლიციელები მოახლოვებიან, უცნობები გაქცეულან. ერთმა გაქცეულთაგანმა რევოლვერის კონდახი დაარტყა მეეტლეს, რომელიც მის დაჭერას აპირებდა და შემდეგ ჩავარდა ერთს სარდაფში, სადაც პოლიციელებმა დააპატიმრეს. იგი გამოჩნდა მოზდოკის მცხოვრები გიორგი ხაცაევი. უცნობს რევოლვერი არ აღმოაჩნდა. მის ამხანაგების დასაჭერად პოლიცია ჩხრეკა-ძიებას შეუდგა.

✦ ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, დილის 12 საათზე რკინის გზის ხიდთან მიმავალ ამავე გზის სახელოსნოში მომუშავე ალექსანდრე ხათაშვილს და სესიევის ღვინის საწყობის მომუშავეს ალექსი გარსევანიშვილს, თავს დასხმია ვიღაც ოთხი უცნობი და, გაჩხრეკის შემდეგ, მეათე საპოლიციო ნაწილში წაუსხამთ, აქედან მეხუთე ნაწილში. შემდეგ მათი ბინები დაუჩხრეკიათ და, რადგანაც საეჭვო ვერაფერი უპოვიათ გაუნთავისუფლებიათ.

## რუსეთის პრესა.

„ტოვარიშჩი" 4 დეკემბრის მეთაურს უძღვნის მეორე დუმის სოც.-დემ. ფრაქციის დეპუტატების გასამართლებას, სადაც სხვათა შორის, ამბობს, რომ:

ოცდაშვიდი კაცი, რომელნიც მხოლოდ ამ ექვსი თვის წინეთ დეპუტატებათ იყვნენ და ტავრიდის სასახლის კათედრიდან ელაპარაკებოდნენ მთელ რუსეთს, — დღეს კატორღელები და ციმბირელები არიან. დამნაშავენი არიან, თუ არა დეპუტატები, ამის გამოსარკვევათ, რუსეთის საზოგადოებას და მათ ამომრჩევლებს ხელთა აქვთ მხოლოდ განაჩენი და მთავრობის ცნობა; მაგრამ განა საზოგადოებას შეუძლიან იქონიოს რაიმე მსჯელობა, როდესაც არ იცის, თუ რა ხდებოდა სასამართლოში და არ ესმოდათ — რა თქვეს დეპუტატებმა თავის გასამართლებლათ? თუ კი სასამართლოს განაჩენით, როცა გარჩევას არ ესწრობა დამნაშავე, არ ჯერდება მოპასუხე თვით ჩვეულებრივ საქმეშიაც კი, მით უმეტეს ამ საქმეში, რომელიც გაარჩია უმართებლესმა სენატმა, შეუძლებელია ვიქონიოთ რაიმე მსჯელობა,

ეს იყო რაღაც სრულიად არა ჩვეულებრივი მოვლენა. ბრალდება წამოყენებული იყო აშკარათ, სახემწიფო სათათბიროსა და მთელი მკითხველი საზოგადოების წინაშე. ბრალდებულნი არ იყვნენ უბრალო პირები, რომელთაც დაარღვიეს ესა თუ ის, აქ არსებული კანონის, მუხლები, ესენი იყვნენ ხალხის წარმომადგენელნი, არჩეულნი უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებისათვის. ბრალდების წამოყენებისათანავე დაითხოვეს სახელმწიფო სათათბირო და შესცვალეს არჩევნების კანონი — ამ მოვლენას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მთელი ხალხისათვის — მის მყობადისა და მომავლისათვის. მთელს რუსეთს ახსოვს მეორე სათათბიროს დათხოვნის წინ განვლილი დღეები, როდესაც სათათბიროს კატეგორიულათ მოსთხოვეს სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის გაცემა; არ იყო ჯერ გამოქვეყნებული, თუ რა პასუხს მისცემდა სათათბირო, მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო ამ მოთხოვნილების მნიშვნელობა. ზოგმა დეპუტატთაგანმა, წინდაწინვე იგრძნო ეს და თავი დაახწია სასამართლოს, მაგრამ აწ გასამართლებულმა დეპუტატებმა, ცხადია, არ მოისურვეს სასამართლოსაგან თავის დახწევა და გადასწყიტეს

---

გამხნევებული, გამარჯვებულის, დამცინავის ღიმილით შესცქეროს მის წინ მდგომ მოხელეს.

თუმცა ტუსაღების საქმე მალე გაირჩა, მაგრამ ბევრს, და მათ შორის ვანოსაც, რამდენიმე წლით ციმბირი მიუსაჯეს.

### IV.

1904 წლის იანვრის მიწურულში როდესაც რუსეთ-იაპონის ომი დაიწყო. თვითმპყრობელობასთან ერთად ხალხი გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა ბრძოლას.

ბრძოლის ყიჟინა რუსეთის ბნელ ხალხსაც აღვიძებდა· ოთხათ მოკრუნჩხული, ყოველ მხრივ შებოჭილ-შებორკილი გლეხი და მუშაც თანდათან თამამდებოდა, წელში იმართებოდა, ხმა მაღლა პროტესტს აცხადებდა და უთავბოლო ომის მოსპობას თხოულობდა.

მოძრაობის ძლიერმა ტალღებმა ციმბირში კოლონიებსაც კი მიაღწიეს, სადაც ვანო, ერთ მივარდნილ და მიყრუებულ სოფელში, ცხოვრობდა და სხვებთან ერთად იმანაც მალე თფილისში ამოყო თავი.

განმათავისუფლებელი მოძრაობა დღითი-დღე იზრდებოდა, ღრმავდებოდა და ქალაქიდან სოფლად გადადიოდა. ერთხელვე დაწყობილი ხალხის მოძრაობა სწრაფის ნაბიჯით წინ მიექანებოდა და აზვირთებულ რუსეთის ხალხს მთავრობის დაძველებულ წესების ვიწრო ჩარჩოებს თავ-განწირულად ახეთქებდა.

აბობოქრდა მთელი რუსეთის გლეხობა, სტიქიური აგრარული მოძრაობა ყველგან ცეცხლივით მოედო: ტყეები იჩეხებოდა, მემამულეების სახლ-კარი და სარჩო საბადებელი იწოდა, იცარცვებოდა და სხვა. განებივრებულ მუქთა-ხორებს და სხვადასხვა ჯურის წურბელებს მოსვენება დაეკარგათ; ხალხისაგან დაგმობილებმა და განდევნილებმა ძველებური ბედნიერების აღსადგენათ და მის დასაცავად შავი რაზმები შეადგინეს, რომლებსაც ხალხმა თავის გულიდან გამოყვანილი წითელი რაზმები დაუპირდაპირა.

ვანო და მისი ამხანაგები დაუღალავათ მუშაობდნენ; ყველგან გახურდა პროპაგანდა-აგიტაცია. მათ ნალაპარაკევს ხალხი გულმოდგინეთ ისმენდა.

ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ვანო, სხვებთან ერთად, ქართლის სოფლებისაკენ გაემგზავრა.

ის, როგორც სოფლის შვილი, კარგათ იცნობდა გლეხის ცხოვრებას, იცოდა მისი ჭირ-ვარამი და ამიტომაც მისი მდაბიო, გარკვეული ლაპარაკი ყველას გულის-ხმაში აგდებდა. ვანოს ლაპარაკი გლეხობის სარკე იყო, სადაც ის ცხოვრების უსამართლოთ მოწყობილობას ხედავდა. ვანო სოფლიდან სოფლად გადადიოდა დაუღალავად, კრებებსა მართავდა, გლეხებს ათისთავ-ასისთავებს არჩევინებდა და საზოგადოთ, სადაც კი მოხვდებოდა, ყველგან გლეხების ბნელ და დუხჭირ ცხოვრებაში წაუშლელ სიმართლისა და სინათლის კვალსა სტოვებდა.

მაღალ-მაღალს, ტან წვრილს, ბეჭებში მოხრილ და შავ ბლუზა-ფიჯაკში გამოწყობილ ვანოს ქართლის გლეხობა იცნობდ-, როგორც ერთს კარგ მოლაპარაკეთაგან; მისი გამხდარი და ფერ-მკრთალი სახე, რომელზედაც ციხე-ციმბირს თავისი ბეჭედი დაესვა, ხალხის სიყვარულით გაძლენთილი და გრძნობიერი ლაპარაკი ყველას მძლავრათ იზიდავდა; ის ყოველ მხრივ ძმობა-ერთობა-სიყვარულს სთესდა.

ასეთ მუშაობის დროს, ვანო დიდ კმაყოფილებას და ბედნიერებასა გრძნობდა! მას არ შეეძლო დაევიწყნა ის ბედნიერი წუთები, რომლებიც მან ერთ სოფელში გამოსცადა:

წყნარი ღამე იყო. ვახშმობა გადასული იქმნებოდა. მოწმენდილ ცაზე აღმოსავლეთიდან სავსე მთვარე ამოცურდა. სოფლის პირად ბაღში, ერთ დიდ კაკლის ქვეშ, გლეხები წყნარად და ფეხ-აკრეფით იკრიბებოდნენ. კაკლის ძირას, მთვარის პირდაპირ ქვაზე, იჯდა ვანო და ხალხის შეკრებას ელოდა, აი, გლეხებიც შეიკრიბნენ და ვანომ ლაპარაკი დაიწყო. საუკუნოებით დამონებულმა, გათელილმა და დაწიხლულმა გლეხობამ სული განაბა და ვანოს თავისუფალ ლაპარაკს ყური დაუგდო. ვანოც თავის მხრივ აღტაცებით ლაპარაკობდა, უსამართლობას გარკვევით ხატავდა, გაყვლეფილ - გალატაკებულ გლეხეეში ძმობა-ერთობა-სიყვარულის გრძნობას აღვივებდა ვანოსთან ერთად გლეხებიც ღელავდნენ; მათი შეერთებული გული ერთნაირათა ტოკავდა. ვანო თითქმის ორ საათს თავ-დავიწყებით ლაპარაკობდა; ბოლოს გრძნობათა ღელვისგან დაღალულ-დაქანცული გაჩუმდა. ხალხი უძრავათ იდგა და ფეხის მოცვლას არ აპირებდა. მოქადაგის სიტყვებით ღრმად ჩაფიქრებული გლეხები ისევ ერთ ალაგას ტორტმანებდნენ და სახლებში წასვლა ეზარებოდათ. ვანო ამ სურათს უცქეროდა და გამოუთქმელ ნეტარებასა გრძნობდა, რადგანაც ნათლად ხედავდა, რომ მან თავის ლაპარაკით ამ ღლიდამ ამ სოფელში მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა სახალხო მოძღვრებას და საზოგადოთ განმათავისუფლებელ მოძრობას.

რადგანაც იმ სოფელში, შავ-რაზმელებისა და სტრაჟნიკების გამო, დარჩენა საფრთხილო იყო, ამიტომაც ვანო ხალხს გამოემშვიდობა და თავის თანამგზავრით მახლობელ სოფლისკენ გაემართა. რამოდენიმე გლეხმა დიდ მანძილზე გამოაცილეს; გზაში მისი ნალაპარაკევით აღტაცებული გლეხები მას ციდგან მოვლენილ ანგელოზივით შეჰხაროდნენ მებატონეებისაგან შევიწროებაზე შესჩიოდნენ, ერთობაზე მუსაიფობდნენ და სხვა. გამოთხოვებისას გულუბრყვილო გლეხებმა სიყვარულის და პატივისცემის ნიშნად ვანო მამაშვილურათ გადაკოცნეს, სთხოვეს ხშირად მისულიყო მათთან და დაშორდნენ. ეს მხურვალე კოცნა დაჩაგრული ხალხისა, სიცოცხლეზე უდიდესი ჯილდო იყო ხალხის საუკეთესო შვილისათვის.

ვანო დიდ გაჭირვებას იტანდა; პოლიციელებს, შავრაზმელებს და ხულიგან-ჯაშუშებს ემალებოდა; ამისათვის ხშირად წვიმაში და ტალახში ღამით ფეხით სიარული უხდებოდა, უალაგო-ალაგას მოუსვენარი ძილი და სხვა, მას ბევრჯელ მინდორში თივის, ან ნამჯის ბულულში გაუთენებია; მაგრამ ის ყველა ამას სიამოვნებით ეგებებოდა. ვანო სიხარულით ფრთებს ისხავდა, როდესაც ხედავდა, რომ ბნელი, საუკუნოებით მონა-მორჩილი გლეხობა თვალებს ახელდა, წელში იმართებოდა, მტერს მტრულათ უხვდებოდა და თავის ღვიძლ ძმას, ქალაქის პროლეტარიატს, ხელს უწვდიდა.

რევოლიუციონური პროლეტარიატის, გლეხობის და მათთან ერთად საზოგადოთ დემოკრატიის შეერთებული ძალა დღითი-დღე გიგანტიურათ იზრდებოდა, რამაც მთავრობა იძულებული გახადა 1905 წ. აგვისტოში პორტსმუტში ხელშეკრულობა დაედო იაპონიასთან და ომიც გაეთავებინა.

მთავრობა ახლა შინიურ მტრებს მოუტრიალდა; დაიწყო პირველად რეაქცია, ხალხის შეერთებულ ძალის გასატეხათ, უმთავრესათ კი პროლეტარიატის დასამარცხებლად.

გათენდა ისტორიული 29 აგვის-

პირისპირ შეჩებოდნენ იმ სასჯელს, რომელიც მოელოდა მათ და დღეს კი გადიქცა აშკარა ფაქტათ უაღმეს სასჯელისა; იმათ არ უარყვეს სახელმწიფო სასამართლო, რადგანაც ესმოდათ, რომ ამ გზით შეეძლებათ მისცენ მომავალ ისტორიას მასალა, დღევანდელი მომენტის გასასამართლებლათ.

მაგრამ საქმის დაფარულათ გარჩევამ შეუცვალა დეპუტატებს აზრი, აიძულა უარეყოთ პასუხის მიცემა მათ წინაალმდეგ წანოყენებულ ბრალდებაზე. ისინი მიხვდენ, რომ ამ პირობებში შეუძლებელი ხდებოდა განხორციელება, იმ მიზნისა, რა მიზნითაც ისინი დასთანხმდენ სახემწიფო სასამართლოს მიერ გასამართლებას.

შემდეგ „ტოვარიშჩი“ ეხება დეპუტატებს და ამბობს, რომ არც ერთ თვითეულ მათთაგანის წინაალმდეგ არ იყო წამოყენებული ბრალდება, არამედ სასამართლომ გაასამართლა მთელი სოც.-დემ.—ფრაქცია, იმიტომ, რომ ის იყო იდეოლოგი პარტიისა.

## აზრისა და სიტყვის თავისუფლება „წყაროს“ რედაქციაში*).

დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობის უმთავრეს დედა ძარღვს შეადგენს აზრის თავისუფლება, რომელიც სასტიკათ არის აკრძალული თვითმპყრობელობის კანონებით. არავის შეუძლიან თავისუფლათ ილაპარაკოს და თავისუფლათ დასწეროს თავისი აზრი. ასეა მოქალაქობრივი პოლიტიკური უფლებები გადალახული ბიუროკრატიისაგან და ასეც იქნება, სანამ ამ უფლებებს არ მოვიპოვებთ.

დიახ, დღეს მთელი რუსეთი იბრძვის ამ თავისუფლების მოსაპოებლათ, იბრძვის პროლეტარიატი, იბრძვის ბურჟუაზიაც. მართალია, პროლეტარიატისთვის პოლიტიკური თავისუფლებ არ არის საბოლოო მიზანი, არამედ მხოლოდ საშუალებაა თავის მიზნის მისაღწევათ, მაგრამ ამავ დროს კი იგი ბურჟუაზიისთვის მიზანია.

პროლეტარიატის მიზანს შეადგენს კაპიტალისტურ ურთი-ერთობის მოსპობა, მუქთახორა ბურჟუაზიის ბატონობის მოსპობა და მის ალაგას თარასწორობის და შრომის თავისუფლების აღიარება, ანუ სოციალიზმის განხორციელება, სადაც აღარ იქნება გამყვლეფელნი და გაყვლეფილნი.

მთელი უკუღმართობა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური, მუშის თავზეა დამყდარი. ამიტომაც არი, რომ პროლეტარიატი გამოდის მეთაურათ ყოველგვარ ბრძოლაში. რომ პროლეტარიატმა ბრძოლით მოპოებული უფლებები თავის მტერს არ ჩაუგდოს ხელში, ამიტომ საჭიროა თავის კლასიურ ინტერესების შეგნება.

პოლიტიკური ბრძოლა, პოლიტიკური თავისუფლება. აი დიდებული იარაღი პროლეტარიატისა, რომლის საშუალებითაც ის მიაღწევს სოციალიზმს—და რომ ეს დიდებული იარაღი სხვას არ ჩაუვარდეს ხელში და მის წინაალმდეგ არ იყვეს ხმარებული, ამისთვის საჭიროა მუშების პოლიტიკურათ გაწრთვნა, თითონ მათ უნდა ითაონ თავიანთი საქმის წინ გაძღოლა, თითონ უნდა გახდნენ ბატონ-პატრონნი თავიანთი თავისა და დაახწიონ თავი ყოველნაირ ოპეკუნობას. ამისათვის კი საჭიროა მეტი მეცადინეობა, სწავლა-განათლება, მეტი კითხვა, აზრის თავისუფლათ გამოთქმა. აი რა მოამწიფებს პროლეტარიატს პოლიტიკურათ და ამას უნდა სცდილობდნენ ჩვენი სტუმრები-ინტელიგენცია, ეს უნდა შეადგენდეს მათ უმთავრეს მოვალეობას. მერე განა ინტელიგენტები უწყობენ ხელს მუშებს სწავლა-განათლებაში, აზრის სიტყვიერათ, თუ მწერლობით გამოთქმაში? არა, არამც თუ ხელს არ უწყობენ, პირიქით ისინი ხელს უშლიან მუშების ასეთი გონებრივ ვარჯიშობას. ამის დამამტკიცებელი საბუთები აუარებელია. ძალიან იშვიათი შემთხვევაა, რომ მუშამ წერილი მიიტანოს მუშის ინტერესების დამცველ რედაქციაში და დაიბეჭდოს. და თუ დაიბეჭდა—ისე დამახინჯებული რედააქციისაგან, რომ მუშა მასში თავის აზრებს ვეღარ პოულობს და პირში ჩალა გამოვლებული რჩება. ასეთი მაგალითის შემდეგ, რასაკვირველია, მუშა ხელიდან აგდებს კალამს და კვლავ აღარ აწუხებს ხსენებულ რედაქციას. მე ძალიან ბევრი მუშა მინახამს დათუთქული ასეთი საქციელით.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. თურმე თუ იტყვით, მუშას ისიც არ შესძლებია, რომ თავისებურათ იფიქროს, მან უეჭველად ისე უნდა იფიქროს, ამა თუ იმ პოლიტიკურ მომენტზე, როგორც ზემოხსენებულ რედაქციის წევრებს ესმით. ამის მაგალითი მე თითონ გახლავართ. მე ვერავინ დამარწმუნა მესამე სათათბიროს სიკარგეში, რომელსაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით მუშებისათვის. დავწერე ერთი წერილი ამ დუმის უვარგისობაზე (რომელიც იყო დაბეჭდილი „ცის ნამის“ 1 ნოემბერში), მივიტანე წყაროს რედაქციაში და ვთხოვე დაებეჭდათ ჩემი შეხედულობა მესამე დუმაზე მაგრამ თქენც არ მომიკვდეთ.

— შენი შეხედულება არ ეთანხმება ჩვენსას, ამიტომ ვერ დაგიბეჭდავთო,—მიპასუხეს.

ამას ჰქვიან აზრის თავისუფლება წყაროს რედაქციის აზრით? თურმე, როგორც რედაქცია აზროვნებს, ისე უნდა აზროვნებდეს ყველა, წინააღმდეგ შემთხვევაში **კრამოლა** გაჩნდება პარტიაშიო. ასეთმა პასუხმა მომაგონა ერთი ბებრუხანა დედაკაცი, რომელმაც ერთხელ კრების გათავებისას მკითხა:—„შვილო თქვენ ყველანი სოციალისტები ხართ, მაშ რაღაზე ეკამათებით ერთმანეთს?“; ვერ დავარწმუნე ის დალოცვილი, რომ აზრთა წინააღმდეგობა ყველგან არის, რომ ზოგს ნათელი წარმოდგენა აქვს საგანზე და ზოგს კი ბუნდოვანი და რომ, აზრთა შეჯახებაში ირკვევა ყოველივე კითხვა.

სტალარი სოსო.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ამხანაგი სოსოს თხოვნით, იმ მოსაზრებით, რომ, როგორც ჩვენ გამოვთქვით ჩვენი გაზეთის № 1. ჩვენს მიზანს შეადგენს თავისუფალი აზრთა გამოთქმა და ჩვენი პრინციპია ორივე ფრაქციის მუშებს დაუთმოთ ადგილი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

რედ.

## პროვინცია

**უხუთის საზოგადოება.** (ქუთ. მაზ). რეაქციის გაძლიერების დღიდანვე, ამ სოფელსაც ისეთი ფერი გადაეკრა, როგორიც სხვა სოფლებს და ქალაქებს; არც აქაურ მცხოვრებლებს დაკლებიათ მიდევ-მოდევნა, მცხოვრებთა აწიოკება, ცეცხლით გადაბუგვა და სხვა. მაგრამ როგორ დღეშიაც ის დღეს იმყოფება, ასეთი ჯერ კიდევ არ განუცდია: წინეთ თუ ბევრ გადასახადს და ჯარიმებს ახდევინებდნენ, სამაგიეროთ სიმინდისა და ღვინის მოსავალი კარგი იყო და ამით დაიმედებული გლეხობა, ასე თუ ისე, მაინც უძლებდა ყველა ამეებს, მაგრამ დღეს კი აღარ იციან თავი რით დაახწიონ ერთი მხრით სიმშილს და მეორე მხრით აუარებელ გადასახადებს, რომელიც თავს წამოაწვათ რეაქციის გამეფებით. ახალი სიმინდის ფასი ეხლავე დიდია და გაზაფხულზე, თავის თავათ ცხადია, რომ ორი იმდენი გახდება, რაც ეხლა არის. უველაფერ ამაებს, რომ თავი გავანებოთ, აქაური მცხოვრებნი მაინც დიდ გასაჭირს განიცდიდნენ და დღესაც განიცდიან.

რა კი ძველი თაობის მოხელეებმა წამოუყვეს თავი და ძველებურათ გაამეფეს პოლიციური ძალები, იმ დღიდანვე ამ საზოგადოების მამასახლისათ დაინიშნა, ამავე სოფლის მცხოვრები, ს. გ—ძე. დაინიშნა, მარა ვაი ამისთანა დანიშვნას! ერთი კვირის შემდეგ მოიწვია სტრაჟნიკები და, როგორც სურდა, ისე დაიწყო თარეში მთელ საზოგადოებას ზურგზე: მის ქრთამების დებას საზღვარი აღარ ქონდა, ხალხს შეუბრალებლათ სცემდნენ სტრაჟნიკები და ნივთებს ართმევდნენ.

მამასახლისი ბევრ ჭარში გასაწევ ...ის ...ნებს დაპირდა, რომ ამკაცები დენი მომეცით და ...ის შვილს ... რუნებო, რითაც გატეხა ბევრი სასადილოს პატრონი და, წასაყვანი ვინც იყო, ისინი მაინც კი წაიყვანეს. ბოლოს ამ ვაჟბატონს იმდენი ქრთამები აღმოუჩნდა აღებული, (როგორც საზოგადოების სარჩივართან ერთმა სტრაჟნიკთაგანმა დაუმტკიცა) რომ თვით უფროს ბოლიციელსაც (პრისთავს) კი შერცხვა და ჩვენი ს. გ—ძე ციხეში ჩასვა; სტრაჟნიკები, გარდა ერთისა, სადღაც გააძევა, ამბობენ რომ ისინიც ციხეში არიანო, მაგრამ ეს არ ვიცით რამდენათ მართალია. ნაცვლათ ერთი სტრაჟნიკისა, დაინიშნა ამავე სოფლის მცხოვრები დ. ხ—ძე და მამასახლის ნაცვლათ პ. ხ—ძე. საზოგადოებას იმედი აქვს, რომ ესენი ისე უზოგველათ აღარ მოეპყრობიან ამ სოფელს, როგორც მათი წინანდელი მოადგილენი ეპყრობოდნენ.

ვნახოთ რამდენათ გამართლდება ეს ხმები,

წვეთი.

**რაჭა.** ძმათა ჯაფარიძეების საზიზღარ მოქმედებას, რომელნიც ამბროლაურის საბოქაულოში მსახურობენ სტრაჟნიკებათ, ბოლო აღარ ეღება საკმარისაა, რომ ევროპიულ ტანსაცმლიანი დაინახონ ვინმე, მაშინვე იჭერენ და ცემა ტყეპით ·დაბა ონის სატუსაღოში უკვრენ თავს, რის შემდეგაც არხანგელსკისაკენ ისტუმრებენ. გარდა ამისა, ქუთაისიდან მომავალ დილიჟანსებს და ეტლებს ერთს არ უშვებენ გაუჩხრეკელათ და თუ იპოვეს მაზე ან ჟურნალ-გაზეთები ან წიგნები, მაშინათვე ხევენ და ქუჩაში ყრიან. შემდეგ კი მეეტლეებს მათრახებით უმასპინძლდებიან, როგორ გაბედეთ ამის აქ მიტანა და სხვა. ამის წინათ, ამ რეაქციის ღვიძლმა შვილებმა სიცოცხლეს გამოასალმეს, ბერდანკის ტყვით, ჯერ ისევ ახალგაზრდა გლეხი—მალხაზა სალუქვაძე, რომელსაც პოლიცია დასდევდა. მას ბრალს სდებდნენ 1905 წლის სახალხო გამოსვლის დროს რაზმების მოწყობას და მათ მეთაურობას.

რაჭველი.

## რუსეთის ამბები

**ექსპროპრიაციისაგან დაზღვევა.** მინისტრთა საბჭოში, ამ დღეებში, გაიხილავენ კითხვას, ნება დართონ თუ არა რუსეთის დამზღვევ საზოგადოებებს ექსპროპრიაციისაგან დასაზღვევი ფულები მიიღონ. ამის შესახებ ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთა სიეზდების საბჭომ, „სვობოდნაია მისლის“ სიტყვით, მინისტრთა საბჭოს წარუდგინა ვრცელი მოხსენება, სადაც დასაბუთებულია ასეთ დაზღვევის აუცილებლობა.

**საზოგადო უნივერსიტეტი.** „ნოვოე ვრემიას“ სიტყვით, სა... განათლების სამინისტრომ ... მწიფო სათათბიროში წარა... ნონ-პროექტი მოსკოვში ... უნივერსიტეტის დაარსების ... რომელიც უნდა გახსნან ... შანიავსკის შემოწირული ფუ...

**ვიბორგის მოწოდების** ... პეტერბურგში თავს იყრიან ... ლი სათათბიროს ყოფილი დ... ტები, რომლებსაც ბრალსა ... ვიბორგის მოწოდების ხელის... რაში.—შინაგან საქმეთა ... ტრომ, როგორც „სვ. მისლი... მოგვცემს, შეატყობინა გუ... ტორებს, რომ სხვადასხვა ად... ში დაპატიმრებული დეპუ... 16 დეკემბრისათვის პეტერ... გაგზავნონ. სასამართლოს ... ამ საქმის შესახებ, გაზეთ „... სიტყვით, ...პირველი სათათ... დეპუტატებს გაეგზავნა 100 ... ლი, რომლებითაც პეტერბ... დეკემბრისათვის იწვევს მათ, ... წარ მოსალაპარაკებლათ.

**ქარიშხალი ზღვაზე.** რო... სევასტოპოლიდან იტყობინ... სატრასპორტო გემები ზღვაზ... ხილ ქარიშხლისაგან დიდ გა... დელში არიან ჩაცვინულნი. ... დიდია.

**შეგირდების მასიური დათხ...** ვორონეჟის რეალურ სასწავ... ლის პედაგოგიურ საბჭოს დად... ენია უფროს კლასების 119 ... დი, რადგანაც ისინი არ გამო... დნენ სასწავლებელში და მო... ვეს ორ დატუსაღებულ ამხა... განთავისუფლება.

**ტუსაღების გამარჯვება.** დღის გაფიცვის შემდეგ, რომლ... ვილნის ტუსაღებმა სიმშილი ... აცხადეს, სატუსაღოში მივიდა ... ნის გუბერნატორი და კარ... ბიდან გაანთავისუფლა პოლიტ... რი დამნაშავენი.

## გაუგებრობაა, თუ ოროტი ზრახვა?

გაზ. „წყაროში“ ვიღაც პე... მოათავსა ვეებერთელა წერილი ... დევი სათაურით; „მცირე შენი... ქალაქის საბჭოს“. თუ მკითხ... ბოლომდის წაიკითხავს ამ სა... რიან წერილს და დააკვირდე... დაინახავს, რომ პეტრე ქალ. სა... თავს ანებებს და განაგრძობს ... პარაკს სრულიად თაუფიქრებ... და უსაფუძვლოთ თბილისის ... რებზე, სადაც ის ამბობს შემდ... „ამას წინათ თფ. მეპურეებმა ... გააძვირეს პური, რომ მუშე... იძულებული გახდნენ ფიზიკური ... ლისთვის მიემართნათ“. სხვათა შო... ასახელებს იმასაც, რომ ჩვენმა ... ჰომ კისერი მოსტეხათ „შელა... ბის“ მოწყობით, თვარა პური ... ნამდის გირვანქა რვა კაპეიკათ ... დებოდაო. ერთის სიტყვით პეტ... ნალაპარაკევი, მეპურეების, შეს... ყოველ-გვარს სიმართლეს ... ლებულია რადგანაც ... პურის გაძვირების მიზეზი ... დუხჭირი ცხოვრებაა და არა მ... რეები; რის ფაქტებიც ნათლათ ... დგას თვალწინ ყველა შეგნებ... ადამიანებს. პეტრეს კი, მისდა ... წუხაროთ, საქმის ინამდვილე ... გაუგია და მისი ნაწერები პატი... მულ მკითხველ საზოგადოებას დ... აკარგვინებს.

ვეფხ...

ტო. ხალხი ჩვეულებრივათ ამ დღეს შეიკრიბა ქალაქის გამგეობის დარბაზში დღიურ საჭირ-ბოროტო კითხვების გადასაწყვეტათ. ქართლიდან ახლად ჩამოსული ვანოც აქ დაესწრო.

...მაგრამ აგერ უეცრივ გარედ ქუჩიდან მოისმა თოფის გრიალის ხმა.. ხალხი განცვიფრდა, გაყუჩდა, მაგრამ არ შეშინდა, რადგანაც ეგონათ, რომ მხოლოდ წამლით გატენილ პატრონებს ისვრიან შესაშინებლადო; ყველა გამხნევდა. მაგრამ აგერ ზევითა ქანდარიდან მოწყვეტილი წამოვიდა ერთი, მეორე, მესამე... გაისმა გულ-შემზარავი „ვაი“... თავ-ზარდაცემული ხალხი ერთმანეთს ეცა; ხალხი უსაზღვრო შიშმა შეიპყრო, ყველას თმა ლყყას დაუდგა, სახე გაუფითრდა და თვალები გადმოეკარკლა, ზალპებმა მოუხშირეს; ხალხი გასავალს მიაწყდა. გამოჩნდნენ კაზაკები სროლით, ხალხი აქეთ-იქით კედლებს უნუგეშოდ ეხეთქებოდა... დარბაზი დაჭრილ-დახოცილებით მოიფინა... ისმოდა შემაძრწუნებელი გმინვა... სურათი ჯოჯოხეთური იყო. ჯალათებს ტყვია შემოელიათ და ხმლები იშიშვლეს... კედლები წითლად შეიღება, სისხლის მორევი დადგა...

ვანომაც, სხვებთან ერთად, გარედ გამოქცევა მოასწრო და რაღაც მანქანებით უვნებლად გადარჩა; მაგრამ გარედ, ქუჩაშიც კაზაკები იყვნენ და გაქცეულებს ესროდნენ. აგერ მის გვერდზედ გაიზუზუნა ტყვიამ და ვიღაც ახალგაზრდა ქალი განგმირული დაეცა.

— მიშველეეეთ!—საზარლად დაიკივლა საბრალო მსხვერპლმა და ხელები ვანოს გაუწოდა. ვანო შეფერხდა, უნდოდა მიშველებოდა, მაგრამ დაუმაყრუებელმა სროლის ხმამ მოუხშირა და ქალის გმინვაც დაფარა. ტყვია სეტყვასავით მოდიოდა და ვანომაც გაქცევა ამჯობინა...

ამის შემდეგ უფრო გაძლიერდა რეაქცია. სოროებში მიმალული ბნელეთის ძალები გამომზევდნენ, ბურთი და მოედანი ხელში დაიჭირეს. დაიწყო ხალხის საუკეთესო შვილების ხოცვა-ჟლეტა, ცემა-ტყება, დაჭერა და ციმბირში გადასახლება.

მაგრამ ხან-მოკლე იყო ეს რეაქცია. ამგვარ სასტიკ მოქმედებას მთელი რუსეთის შეერთებულმა პროლეტარიატმა სექტემბრის პირველ ნახევარში საერთო პოლიტიკურ გაფიცვით უპასუხა. მთელი რუსეთის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება სულ რამოდენიმე დღეში ყველგან შესწყდა. ამ საერთო გაფიცვამ დაბადა 17 ოქტომბრის მანიფესტი.

**ს. პართენაშვილი.**

(დასასრული იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი

**გიორგი სხირტ...**